საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

ქ. ბათუმი, 2-6 ივნისი, 2026 წ.

ძიუდო

(შერეული გუნდური)

დებულება

1. შეჯიბრების მიზანი

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

2. შეჯიბრების ორგანიზატორები

- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.

3. ჩატარების დრო და ადგილი

- შეჯიბრება ჩატარდება ქ. ბათუმში 2026 წლის 2-6 ივნისს.
- ჩასვლის დღე 2 ივნისი.
- აწონვა 2 ივნისი.
- შეჯიბრების დღე 3 ივნისი, 10:00 საათიდან.
- გამგზავრება 4 ივნისი.
- შეჯიბრების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლე.
- მისამართი: ლეონიძის ქ. #15.

4. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ შერეულ გუნდურ პირველობაში საქართველოს რეგიონებს შორის.
- გუნდის შემადგენლობაში შედის 3 გოგონა და 3 ვაჟი.

წონითი კატეგორიები:

- გოგონები: -52კგ, -63კგ, +63კგ; ვაჟები: -60კგ, -73კგ, +73კგ.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო).
- დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.

- გუნდური შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ერთ-ერთ წონაში .(გამოავლენს კენჭისყრა) დაინიშნება დამატებითი შეხვედრა, სადაც იმოქმედებს „ოქროს ქულის“ წესი.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენებისთვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმონოს ტარება.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს შესაბამისი სანქციების გატარების შესახებ.

5. შეჯიბრების მონაწილეები

- ასაკობრივი კატეგორია: 2009-2010 წელს დაბადებული გოგონები და ვაჟები.
- გუნდურ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება ეძლევათ საქართველოს 12 რეგიონის გუნდებს: აფხაზეთი, აჭარა, გურია, თბილისი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

6. რეგისტრაცია

- გუნდებმა 2026 წლის 1 მაისამდე უნდა წარმოადგინონ ან გამოაგზავნონ ელექტრონულად (მეილი: registr.gjf@gmail.com) გუნდის სია წონითი კატეგორიების მიხედვით. აგრეთვე მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების (პირადობის მოწმობა, პასპორტი ან დაბადების მოწმობა), ფოტოები 3x4 სმ (ციფრული ვერსია) ასლები და ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაცემული ჯანმრთელობის ცნობები (ფორმა #100).

- დაგვიანებული განაცხადები აღარ მიიღება.
- დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

7. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან ფესტივალის მედლებითა და დიპლომებით.

8. პასუხისმგებლობა

- ორგანიზატორებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სპორტსმენების ტრავმებსა და უბედურ შემთხვევებზე.